ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6585087

ნომერი: AR1980624

თარიღი : 25.07.2023

გაცემის თარიღი : 27.07.2023

გაცნობის თარიღი : 27.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჩახუნაშვილი პ/ნ 01024061809
- თბილისი პეკინის გამზ. II კვ. კორ. 10 ბ. 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 ივლისს №AR1980624 განცხადებით მომართა თამაზ ჩახუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 15

ივნისის №6510667 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №47-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.20.030.027), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 15 ივნისიდან 2023 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ -2.70 ნიშნულის გეგმაზე გამორჩენილი ავტოსადგომების ნუმერაციის დატანას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: №882023286223, მომზადების თარიღი: 05/04/2023 წ.) თანახმად, №01.12.20.030.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის და ფართების ნაწილის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „დეველოპმენტ გრუპ“ (ს/ნ: 406155618).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B19087771; მომზადების თარიღი: 15/08/2019 წ.), შპს „დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ: 406155618) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ელენა სოსინა (პ/ნ: 01011064476). სამსახურში წარმოდგენილია შპს „დეველოპმენტ გრუპის“ (ს/ნ: 406155618) დირექტორის ელენა სოსინას მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 230416091, რეგისტრაციის თარიღი: 31.03.2023 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი -2.70 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება და ფართობები არ იცვლება, ხდება მხოლოდ -2.70 ნიშნულის გეგმაზე ავტოსადგომების ნუმერაციის დატანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული -2.70 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 ივნისის №6510667 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.